

ବୋଲ୍ଡର୍
SELF HELP

ალან უოტსი

აღმოსავლეთი

სიბრძნე და

თანამედროვეობა

ალან უოტსი
აღმოსავლური სიპრენე და თანამედროვეობა

Alan Watts
EASTERN WISDOM, MODERN LIFE:
COLLECTED TALKS 1960 – 1969

ინგლისურიდან თარგმნა ოთარ ჭულუხაძემ

რედაქტორი: ირმა ტაველიძე
გარეკნის დიზაინერი: მარიამ სინატაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული

- © 1994, 1995, 1998 and 2006 by Alan Watts
- © 1998, Chapters 4, 8, 10 13, and 16 appeared earlier in the book *The Culture of Counter-Culture*.
- © 1995, Chapters 5, 7, 14, and 15 appeared earlier in the book *Myth and Religion*.
- © 1994, Chapter 12 first appeared in the book *Talking Zen*.
Original English language publication 2006 by New World Library,
California, USA
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-927-9
www.diogene.ge

ნინათქმა	7
 ნაცილი პირველი: 1960	
ბუდა და ბუდიზმი	13
მაპაინა-ბუდიზმი.....	22
ძენის დისციპლინა.....	34
 ნაცილი მეორე: 1963-1965	
მისტიკა და მორალი	45
მეტაფორები ადამიანის შესახებ.....	60
ორიენტალური ფილოსოფიის მნიშვნელობა	78
რელიგია და სექსუალობა.....	96
 ნაცილი მესამე: 1965-1967	
დროიდან მარადისობისაკენ.....	117
დაოიზმის გზები.....	133
ბუნების ფილოსოფია	142
უთავოდ ცურვა.....	160
ძენის ძვლები	174
 ნაცილი მეოთხე: 1968-1969	
ლვთაებრივი ალქიმია	193
დემოკრატია ზეციურ სამეფოში.....	218
არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის.....	237
რა არის სინამდვილე?	257

ნინათქმა

„აღმოსავლური სიბრძნე და თანამედროვეობა“ აღან უოტსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ, ყველაზე ნაყოფიერ ათწლეულს ეკუთვნის. ამ პერიოდში უოტსმა გზა გაუკაფა ისეთ იდეებსა და ცოდნის მეთოდებს, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 60-იანებისა და მომდევნო წლების კულტურული ლანდშაფტის ჩამოყალიბებისთვის. უოტსი შორეული აღმოსავლეთის სიბრძნის მონინავე ინტერპრეტატორია. ის იკვლევდა ადამიანური ცოდნის საზღვრებს, სადაც შემეცნება და კვლევა წარმოადგენს ინსა და იანს შეკითხვებისა: „რა არის ადამიანი?“, „რა აზრი აქვს ცხოვრებას?“, „რატომ ვარსებობთ ამ სამყაროში?“

წარმოშობით ინგლისელი უოტსი კენტერბერის კათედრალთან არსებულ სამეფო სკოლაში სწავლობდა. თოთხმეტი წლის ასაკში შორეული აღმოსავლეთის ფილოსოფიას მოძლევრებებმა გაიტაცა; თექ्सმეტი წლიდან რეგულარულად ესწრებოდა ლონდონის ბუდისტურ ლოჟაში მიმდინარე ლექციებს. სწორედ აქ გაიცნო ძენის გამოჩენილი მკვლევრები – ქრისმას ჰამფრიზი და დაეტარო სუმუკი. ლოჟის უურნალში „შუა გზა“ უოტსმა უამრავი ფილოსოფიური კომენტარი გამოაქვეყნა. ოცდაერთი წლის იყო, როცა მისი პირველი წიგნი გამოვიდა აღმოსავლური სიბრძნის შესახებ – „ძენის სულისკვეთება“.

30-იანი წლების ბოლოს უოტსი ნიუ-იორკში გაემგზავრა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ანგლიკანური ეკლესიის მღვდელი გახდა. 1942 წელს საცხოვრებლად ილინოისში გადავიდა. მეორე მსოფლიო ომის წლები ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის კაპელანად გაატარა.

1950 წელს დატოვა ეკლესია, უარი თქვა ორგანიზებულ რელიგიაზე, აღმოსავლურ ფილოსოფიას დაუბრუნდა და სააზროვნო ჰორიზონტის გაფართოებას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში უოტსმა ნიუ-იორკში გაიცნო მითოლოგიის მკვლევარი, მწერალი ჯოზეფ კემპბელი და კომპოზიტორი ჯონ კეიჯი. ამ ნაცნობობამ განაპირობა მისი გამგზავრება კალიფორნიაში, სადაც სან-ფრანცისკოს აზიური კვლევების ამერიკულ აკადემიაში დაიწყო სწავლება. უოტსის პოპულარული ლექციები კაფეებში მიმდინარე უშუალო საუბრებსა და ცნობილ ბიტნიკ მწერლებთან – გერი სნაიდერთან, ჯეკ კერუაკთან და ალენ გინზბერგთან მეგობრობაში გადაიზარდა. 1953 წელს ნამოიწყო საკვირაო რადიო-საუბრების სერია, რომელიც ამგვარი საუბრების ყველაზე ხანგრძლივ ციკლად ითვლება. ის, ალან უოტსის ლექციების აუდიოჩანაწერების მეშვეობით, დღესაც გრძელდება. 1957 წელს ავტორმა გამოაქვეყნა ბესტსელერი „ძენის გზა“. ამით დაიწყო ათწლიანი ნაყოფიერი პერიოდი, რომლის მანძილზეც მან შემდეგი წიგნები გმოსცა: „პუნქა, კაცი და ქალი“, „ბიტნიკთა ძენი, ოთკუთხედი ძენი და ძენი“, „ეს არის ეს“, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფსიქოთერაპია“, „ღმერთის ორი ხელი“, „მხიარული კოსმოლოგია“, „წიგნი თვითშემეცნების ტაბუს შესახებ“.

1960 წლისთვის უოტსის რადიო-ლექციები „გზა დასავლეთის მიღმა“ ბერკლის კომუნალური რადიოთი გადაიცემდა. მათ მრავალი გულმოდგინე მიმდევარი გამოუჩნდა დასავლეთ

სანაპიროზე. მალევე ტელეკომპანია NET-მა მთელ ქვეყანაში აჩვენა გადაცემების სერია „აღმოსავლური სიბრძნე თანამედროვეობაში“. პირველი სეზონი, რომელიც სან-ფრანცისკოს ტელევიზიის სტუდიებში იწერებოდა, ბუდიზმის მნიშვნელობას და ეთმო, მეორე კი – ძენის მოძღვრებასა და ხელოვნებას. ამ წიგნის პირველი ნაწილის თავები მომზადებულია მეორე სეზონის პირველი გადაცემების მიხედვით: „ბუდა და ბუდიზმი“, „მაჟანანა-ბუდიზმი“ და „ძენის დისციპლინა“. მათი მიზანი რელიგიის ფსიქოლოგიისადმი ბუდიზმის დამოკიდებულების ჩვენება იყო.

მეორე ნაწილში უოტსის მიერ 1963-1965 წლებში ჩაწერილი ზოგიერთი შთამბეჭდავი საუბარი შედის, კერძოდ კი, წამყვან უნივერსიტეტებში წაკითხული ლექციები: „მისტიკა და მორალი“, „მეტაფორები ადამიანის შესახებ“, „ორიენტალური ფილოსოფიის მნიშვნელობა“ და „რელიგია და სექსუალობა“. ამ ლექციებში უოტსი მკვეთრად და ბრწყინვალედ აკრიტიკებს რელიგიის როლს თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში და ახალგაზრდა, მიუკერძოებელ აუდიტორიას ღვთაებრიბის უფრო ფართო ხედვას სთავაზობს.

მესამე ნაწილი 1965-1967 წლებში ჩაწერილ ლექციებსა და სემინარებს ეყრდნობა. საუბრებში „დროიდან მარადისობამდე“, „ბუნების ფილოსოფია“, როგორც უოტსი უწოდებდა დაოს, ანუ გზის ფილოსოფიას, „დაოიზმის გზები“ და „უთავოდ ცურვა“ სიღრმისეულადაა განხილული ბუნების, ასევე, ადამიანური ბუნების, დინებები და მოძრაობები. მესამე ნაწილი ბოლოვდება საუბრით „ძენის ძვლები“. ამ ლექციაში უოტსი ამაღლვებლად საუბრობს ინტელექტუალური თავისუფლების მიღწევის ძენ-ბუდისტურ მეთოდებზე და მისტიკური ცნობიერების ანაპანას წარმოგვიდგენს.

მეოთხე ნაწილი მესამის თემატური გაგრძელებაა. 1967 წელს ჩაწერილ ლექციაში „ღვთაებრივი ალქიმია“ საუბარია საკრამენტულ ნივთიერებებზე და, ზოგადად, მისტიკურ გა-მოცდილებაზე. დანარჩენ სამ საუბარში – „დემოკრატია ზე-ციურ სამეფოში“, „არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის“ და „რა არის სინამდვილე?“ – უოტსი წამოჭრის და პა-სუხს სცემს კითხვას: „სად მივდივართ სიკვდილის შემდეგ?“ და გვთავაზოს დაოს პრინციპის მიხედვით ცხოვრებას თა-ნამედროვე საზოგადოებაში.

წიგნში შესული საუბრები უოტსის მიერ 60-იან წლებ-ში ჩატარებული ლექციების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ისინი ისეა შერჩეული, რომ შინაარსობრივ მთლიანო-ბას ქმნის. ეს საუბრები გვიჩვენებს მოაზროვნის კარიერის იმ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რომლებიც კარგად ასახავს 60-იანი წლების ფილოსოფიურ პირდაპირობას და რომლებ-მაც გზა გაუხსნა შორეული აღმოსავლეთის სიბრძნისადმი უდიდეს ინტერესს.

მარკ ოუტსი

ნაწილი პირველი

1960

ბუდა და ბუდიზმი

აღმოსავლური სიბრძნისა და თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ლექციათა ამ ციკლში ბუდიზმისა და ძენ-ბუდიზმის შესახებ ვისაუბრებთ. ძენი ბუდიზმის სახესხვაობაა, რომელიც იაპონიასა და ჩინეთშია გავრცელებული.

ალბათ, იკითხავთ, რატომ ვარ მანცდამაინც ბუდიზმის კვლევით დაინტერესებული და ვმიჯნავ მას აზიური ფილოსოფიისა და რელიგიის სხვა ფორმებისაგან. მიზეზი ის გახლავთ, რომ ბუდიზმი გათავისუფლების ერთგვარ შეთოდს წარმოადგენს, რომელიც, როგორც ცხოვრების წესი, აზიაში კი წარმოიშვა, მაგრამ სხვა იქაური ფილოსოფიური თუ რელიგიური სკოლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ კულტურას მჭიდროდ არ უკავშირდება. მაგალითად, შინტოიზმი იაპონელთა ეროვნული კულტია და წარმოუდგენელია, რომ ის ამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ გავრცელებულიყო. ასევეა კონფუციანულობა და ინდუიზმი, რომლებიც ჩინურ და ინდურ კულტურებთან უშუალოდ არიან დაკავშირებულნი. ბუდიზმი ინდოეთში წარმოიშვა, მაგრამ მალევე გავრცელდა მთელ აზიაში და სხვა კულტურებსაც მოერგო. შეგვიძლია ვთქვათ,

რომ ბუდიზმი ინტერნაციონალური და ინტერკულტურული ცხოვრების წესია. შესაბამისად, აზიური ფილოსოფიის ფორმებს შორის იგი დასავლეთში ყველაზე მეტი ინტერესს იწვევს.

მიუხედავად ამისა, ბუდიზმის წარდგენისას გარკვეული სირთულე იქმნება, რადგან ამ სწავლებას, ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამისა თუ ზოროასტრიზმის მსგავსად, რელიგიად განიხილავენ – თითქოს ყველანი ერთსა და იმავე რამეს წარმოადგენდნენ. სიტყვა „რელიგიაში“ თუ ისეთ განსხვავებულ ფენომენებს ვიგულისხმებთ, როგორიც, ერთი მხრივ, ქრისტიანობა და იუდაიზმია, ხოლო, მეორე მხრივ – ბუდიზმი, მაშინ გამოვა, რომ ცნებას ზედმეტად ვაზოგადებთ. ეს კი მას უსარგებლოდ და უაზროდ აქცევს. ნამდვილად არ მსურს ტერმინ „რელიგიის“ განსასაზღვრი კანონის დადგენა, თუმცა ჩემი მსჯელობა უფრო აზრიანი და გასაგები გახდება, თუ გეტყვით, რას ვგულისხმობ სიტყვაში „რელიგია“. უმჯობესია, ეს ცნება დავუკავშიროთ ისეთ მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი და ამავე დროს ბუდიზმის შესაფერისი ტერმინი მოვიძიოთ.

რა არის განსხვავება? რელიგია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *relicare*, რაც კავშირს, ბმას ნიშნავს. შესაბამისად, ის ცხოვრების გარკვეული წესის აღიარებაა, რომელსაც ჩვენ ღვთივშთაგონებულად მივიჩნევთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რელიგიაში ვხვდებით ღვთივშთაგონებულ დოქტრინას, რომელსაც ჩვენ მრნამსს უწნოდებთ. არსებობს გამოცხადებით დადგენილი ცხოვრების წესი – ერთგვარი კოდექსი – რჯულის კანონით ან, ქრისტიანობის შემთხვევაში, მაცხოვრის პიროვნებით გამოხატული ღვთის ნება. და ბოლოს, რელიგიაში არსებითია საკულტო მსახურება, რაც ღმერთის – რელიგიის ფორმით გამოცხადებული პირველადი რეალობის – განდიდებას გულისხმობს.

ბუდიზმს, რელიგიებისგან განსხვავებით, არ გააჩნია არც მრნამსი, არც რჯულის კანონი, არც კულტი. ბუდას მიმდევ-რები არ არიან ვალდებულნი, რაიმე კონკრეტული ირწმუნონ. ამ მოძღვრებაში ვერ შეხვდებით ოფიციალურ კოდექსს ან მკაცრად განსაზღვრულ დოქტრინას, რომლის სიმაღლე-საც ყველა ბუდისტმა უნდა მიაღწიოს. ცხადია, ისინი იცავენ გარკვეულ მორალურ პრინციპებს, თუმცა ეს არ აღიქმება ღვთის ნების აღსრულებად – უბრალოდ, საკუთარი თავის წინაშე დადებული აღთქმაა. გარდა ამისა, ბუდიზმს არ გააჩნია განსაკუთრებული კულტი – ისეთი საკრამენტები ან განდიდების ფორმები, რაც ყველა ბუდისტისთვის საერთო იქნებოდა. შეიძლება ვთქვათ, რომ ბუდიზმი ფილოსოფიაა, მაგრამ არც ეს განსაზღვრებაა მთლად ზუსტი. დასავლური გაგებით, ფილოსოფია ადამიანის, ბუნების, ცოდნის შესახებ იდეებისა და თეორიების შემუშავებას გულისხმობს. ბუდიზმს კი იდეები და თეორიები ნაკლებად ანაღვლებს.

დასავლურ კულტურაში ამ აღმოსავლურ მოძღვრებას-თან ყველაზე ახლოს, ალბათ, ფსიქოთერაპია დგას, რადგან ბუდიზმის არსი მდგომარეობს არა რაიმეს რწმენაში, იდეებ-სა თუ რიტუალურ პრაქტიკებში, არამედ შინაგანი გამოცდილების მიღებაში. როცა ფსიქოთერაპევტთან მიდის ადამიანი, რომელიც თავს უბედურად გრძნობს, დეპრესიით იტანჯება, ან კიდევ დიდი მწუხარება სწვევია, ფსიქოთერაპევტი მიზნად ისახავს, შეცვალოს მისი ცნობიერება, აზროვნების მდგომარეობა. ამ მხრივ, ფსიქოთერაპია ბუდიზმს ჰგავს, რადგან ბუდიზმიც გულისხმობს ტრანსფორმაციას – ადამიანების მიერ საკუთარი თავისა და გარესამყაროს აღქმის რადიკალურ ტრანსფორმაციას. ჰოდა, ბუდიზმის საგანგებო განსაზღვრება მოვიფიქრე, რათა განვასხვავო იგი რელიგიისგან. მე მას „გათავისუფლების გზას“ ვუწოდებ. ვგულისხმობ იმ ჩვეული

გზისგან გათავისუფლებას, რომლითაც ცივილიზებულ ადა-
მიანთა უმრავლესობა და, ალბათ, პირველყოფილ ადამიან-
თაგან ბევრი აღიქვამს საკუთარ თავსა და გარესამყაროს.
ამის მაგალითია მარტოსულობის, წარმავალობის, საკუთარ
ნაჭუჭში გამოკეტვის განცდა, რომელიც გარესამყაროსადმი
გაუცხოებას და მტრულ დამოკიდებულებას ბადებს.

ცხადია, როდესაც ვახსენებ სიტყვას „ბუდა“, შეიძლება
ბევრმა იფიქროს, რომ ეს ერთგვარ კერპს აღნიშნავს. სინამ-
დვილეში ბუდა არა ღმერთის, არამედ კაცის სახეა – თუ და-
ვაზუსტებთ, ინდოელი უფლისწულის, სიდჰარტა გაუტამასი,
რომელიც ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა. მას ბუდას
ეძახდნენ, მაგრამ ბუდა მეტსახელია და სანსკრიტზე დაახლოე-
ბით „გამოლვიძებულს“ ნიშნავს. რადგან ბუდიზმი ფსიქოთე-
რაპისა შევადარეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუდა მსოფლიოს
პირველი დიდი ფსიქოთერაპევტია. საინტერესოა, რომ მისი
მეთოდის გადმოცემის ფორმა ექიმის მითითებებს წააგვას. მან
საკუთარი მკურნალობის არსი „ოთხი კეთილშობილი ჭეშმა-
რიტების“ სახით ჩამოაყალიბა. მე ოთხივეს განვიხილავ, რომ-
ლებსაც სახელები ძველ ინდური ენაზე – სანსკრიტზე ჰქვიათ.
„ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება“ ექიმის მიერ დიაგნოზის
დასმისა და რეცეპტის გამოწერის პროცედურას მიჰყება,
რადგან პირველი, რასაც პაციენტის სასთუმალთან მოხმობილ
ექიმს სთხოვენ, იმის თქმაა, თუ რისგან იტანჯება ავადმყოფი.
ასე რომ, ბუდას პირველი კეთილშობილი ჭეშმარიტება კაცობ-
რიობის დიაგნოზია, ანუ იმ დაავადების სახელწოდება, რისგა-
ნაც ადამიანები იტანჯებიან. სანსკრიტზე ამას „დუკა“ ეწოდე-
ბა, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც შფოთვა, ტკივილი,
ტანჯვა. დაავადების მიზეზია მეორე კეთილშობილი ჭეშმარი-
ტება – „ტრიშნა“, რაც უკავშირდება ინგლისურ სიტყვას thirst
და ნიშნავს ჩაბლაუჭებას. ეს სიტყვა ხშირად ითარგმნება, რო-

გორც „სურვილი“. მესამე, რასაც ექიმს ეკითხებიან, არის ის, თუ როგორ შეიძლება განიკურნოს დაავადება. ბუდას პასუხი იქნებოდა – „ნირვანა“, რაც სანსკრიტზე გათავისუფლებას ნიშნავს. როგორც კი გამოსავალს ასახელებს, ბუდა გამოწერს რეცეპტს – „მარგას“. „მარგა“ ნიშნავს ბილიკს. იგულისხმება რვასაფეხურიანი კეთილშობილი ბილიკი – გზა, რომლითაც შევძლებთ მივყვეთ ბუდისტური ცხოვრების წესს.

მოდით, უკეთ განვმარტოთ ოთხივე კეთილშობილი ჭეშ-მარიტების მნიშვნელობა. პირველ რიგში კი, განვსაზღვროთ „დუკა“ – დაავადება, რომლისგანაც, ბუდისტური მეთოდის მიხედვით, ადამიანები იტანჯებიან. ხანდახან ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც, ზოგადად, ტანჯვა, თუმცა მისი მნიშვნელობა აუცილებლად უნდა დაზუსტდეს. „დუკას“ ისეთ ტანჯვას ან ქრონიკულ იმედგაცრუებას ვუწოდებდი, რომელიც გამოწვეულია უნაყოფო, უაზრო, წინააღმდეგობრივი მცდელობებით. მაგალითად, რამდენჯერაც უნდა სცადოთ ოთხეუთხა წრის დახაზვა, არაფერი გამოვა, რადგან მცდელობა იმთავითვე წინააღმდეგობრივია. მსგავსად ამისა, ზოგიერთ საქმიანობას ადამიანი ქრონიკულ იმედგაცრუებამდე და სულიერ აშლილობამდე მიჰყავს.

ბუდას მიხედვით, „დუკას“ სხვა ფაქტორი იწვევს, რომელიც ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს ტკივილსა თუ ტანჯვას და მის მიზეზს შორის. ბუდა ამბობდა, რომ ტანჯვის გამომწვევი მიჯაჭვულობა განპირობებულია ჩვენი უგუნურებითა და უმეცრებით. სანსკრიტზე უმეცრების გამომხატველ ამ მდგომარეობას „ავიდია“ ეწოდება, რაც სიტყვა-სიტყვით „არცოდნას“ ნიშნავს. უცოდინრობა სამყაროს შეუსაბამო ხედვაში გამოიხატება, თითქოს ის უამრავი საგნის – კლდის, ფეხის, მცენარის, ადამიანის – მექანიკური ჯამი იყოს; მაშინ როცა, სინამდვილეში სამყარო ცალკეული

საგნებისგან არ შედგება. ყოველივე არსებული სხვასთან მი-
მართებაში არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია,
კვერცხი განცალკევებულ, განსხვავებულ რაიმედ მოჩანს,
მაგრამ ის ვერ იარსებებს ქათმის გარეშე. ქათამი, თავის
მხრივ, ვერ იარსებებს ხელსაყრელი გარემოს გარეშე. მსგავ-
სადვე, თითები არ არიან მკლავისგან გამოყოფილი. მართა-
ლია, მათ განცალკევებულად აღვიქვამთ, მაგრამ სინამდვი-
ლეში მკლავს უკავშირდებიან, მკლავი, თავის მხრივ – ხელს,
ხელი კი სხეულს უკავშირდება, ხოლო სხეული – მთელი დე-
დამინის გარემოს, ცას, მზეს, ჰაერს.

თუ ვიფიქრებთ, რომ სამყარო ცალკეული საგნებისგან
შედგება და არა – ერთმანეთთან დაკავშირებულებისგან, მათ
ისე მოვეპყრობით, თითქოს მართლაც განცალკევებულნი
იყვნენ. განვიხილოთ სიამოვნება და ტკივილი. ჩვენ ვფიქ-
რობთ, რომ სიამოვნება მკვეთრად გამიჯნულია ტკივილისა
და უსიამოვნებისაგან. გვსურს სიამოვნება ტკივილის გარე-
შე და საკუთარი ცხოვრების წესს ამ სურვილს ვუქვემდე-
ბარებთ. ეს სურვილი კი ისეთივე წინააღმდეგობრივია, რო-
გორც ზედას არსებობა ქვედას გარეშე. დავუშვათ, ყოველი-
ვეს ისე მოწყობა ვცადეთ, რომ ყველაფერი ზევით იყოს და
არაფერი – ქვევით, ან ისე, რომ არსებობდეს წინა უკანას
გარეშე. ჩვენ, უბრალოდ, დავიღუპებოდით. მსგავსად ამი-
სა, სიამოვნებისა და ტკივილის გამიჯნას თუ შევეცდებით,
ჩვენი ცნობიერება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რო-
ცა ვერ აღვიქვამთ სიამოვნებას, რადგან გაქრება კონტრას-
ტი და ყველაფერი მოსაწყენი გახდება. ამგვარად, საკუთარ
ცხოვრებას განუხორციელებელი იდეალებისაკენ მივმარ-
თავთ და შედეგად გარდაუვლად გვიცრუვდება იმედი.

იმედგაცრუების კიდევ ერთი წყაროა ის, რომ ვერ ვამ-
ჩნევთ: სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სულაც არ არის

მარადიული. ბუდას მოძღვრების უმთავრესი ასპექტია, რომ სიცოცხლე, როგორ მყარად და სტაბილურადაც უნდა გვეჩვენებოდეს და საგნები, როგორი განცალკევებულნიც უნდა ჩანდნენ, დინების მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო, სადაც ვცხოვრობთ, შედგება არა იმდენად საგნებისა და ორგანიზმებისაგან, რამდენადაც პროცესებისაგან. ყველაფერი მუდმივ ფორმაცვალებადობაშია. თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჰგავს ფორმაცვალებადობას, რომელსაც კვამლის – ამ მოცეკვავე, მარადცვალებადი პატერნის – ყურებისას ვამჩნევთ; ასევე წყალს, რომელსაც იმ შემთხვევაში მოვიხელთებთ, თუ ხელებს ფრთხილად მივაღებინებთ ჭიქის ფორმას. წყალს თუ ხელს მოუჭერთ, ის უმალვე ხელიდან გაგვისხლტება.

შესაბამისად, რადგან არ გვესმის, რომ ყოველივე ცოცხალია იმდენად, რამდენადაც მდინარებაშია ჩართული, გამუდმებით ვცდილობთ, დავეუფლოთ პროცესს. სწორედ ეს არის „ტრიშნა“ – ჩაბლაუჭება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვებლაუჭებით ყველაფერ ძვირფასს: საკუთარ სიცოცხლეს, საყვარელი ადამიანების სიცოცხლეს. ასევე იქცევა დედა, რომელიც თავისი სიყვარულით ხუთავს შვილს, ებლაუჭება მას და არ აძლევს შეცდომების დაშვების საშუალებას. არ სურს, მისმა შვილმა გარისკოს და პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითარდეს. ეს იგივეა, რომ წინილას არ დავაცადოთ კვერცხიდან გამოჩეკა. კვერცხი გალაყდება, თუ წინილას გაზრდის და ცვლილების საშუალებას არ მივცემთ. შეგვიძლია შემდეგი მაგალითიც მოვიყვანოთ: წარმოიდგინეთ, რომ ძალიან მოგწონთ ერთ-ერთ ბალში მოჩუხჩუხე წყაროს ხმა; გაიფიქრებთ, რა კარგი იქნებოდა, ასეთი წყარო ჩემს ბალშიც იყოსო; მიდიხართ წყაროსთან, სათლით ხაპავთ წყალს და სახლში მიგაქვთ, მაგრამ სათლში დაგროვებული

წყალი უკვე მკვდარია; ის აღარაა ცოცხალი და უწყვეტად მომდინარე.

ჩვენ მუდმივად განბილებულნი ვართ, რადგან ფორმაც-ვალებადი სამყაროს მოხელთებას და მოგუდვას ვცდილობთ. ყოველდღიურ შეხედულებებში ჩანს, რომ სამყაროს აღვიქ-ვამთ, არა როგორც მთლიან ფორმას (პატერნს), არამედ რო-გორც რაღაც კონკრეტულის ფორმას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვფიქრობთ, თითქოს ყოველ ფორმას, ყოველ პატერნს საფუძვლად ედოს მყარი ნივთიერება, რომელსაც სუბსტან-ციას ვუწოდებთ. მსგავსი მსოფლალქმა ემყარება წარმოდგე-ნას, რომლის მიხედვითაც სამყარო ქოთანივით შეიქმნა, ისევე როგორც მექოთნე ამზადებს თიხისაგან ქოთნებს. რა გასაკვი-რია, რომ გვიჩნდება კითხვა: „რისგან შედგება ვარსკვლავები, მთები, ხეები?“ ჩვენ ვუშვებთ, რომ ისინი რაღაც კონკრეტუ-ლისგან არიან შექმნილნი, ისევე როგორც ხუროს მიერ ხისგან დამზადებული მაგიდა, ან მექოთნის მიერ თიხისგან დამზადე-ბული ქოთანი. სამყაროზე მსჯელობისას სულაც არ არის აუ-ცილებელი ცნება „სუბსტანციის“ გამოყენება. თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, ე. წ. „სუბსტანციაც“ კომპლექსური და დახვეწილი ფორმებისაგან შედგება. მაგალითად, ლითო-ნის მონეტის მყარ ზედაპირზე მიკროსკოპით დაკვირვებისას პატარა ფორმებს აღმოვაჩენთ. თუ უფრო შორს წავალთ და სამყაროს ატომური ფიზიკოსის თვალით შევხედავთ, მაშინ მას, უბრალოდ, ენერგიის მოცეკვავე ორბიტებად აღვიქვამთ. ამრიგად, თუ სამყაროს ვუყურებთ, როგორც ფორმისა და მა-ტერიის ერთიანობას, მაშინ გამოდის, რომ საკუთარ თავსაც იმ მატერიის მსგავსად აღვიქვამთ, რომელიც ჩვენი ქმედებე-ბის ცვალებადობის საფუძველია. საკუთარ თავს სიტყვების, ფიქრებისა და ქმედებების მიღმა მყოფად აღვიქვამთ – გა-მოცდილების მიღმა არსებულ გამომცდელებად.